პროფესიული განათლების ტრანსფორმაცია გლობალურ ეპოქაში: ინოვაცია, უნარები და პარტნიორობა

Transformation of Vocational Education in the Global Era: Innovation, Skills and Partnership

კონფერენციის თეზისები

CONFERENCE ABSTRACTS

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული
განათლების ცენტრი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Vocational Education Centre

პროფესიული განათლების ტრანსფორმაცია გლობალურ ეპოქაში: ინოვაცია, უნარები და პარტნიორობა

Transformation of Vocational Education in the Global Era: Innovation, Skills and Partnership

მესამე საერთაშორისო კონფერენცია
The Third International Conference

კონფერენციის თეზისები
Conference Abstracts

3 ივნისი-June
თბილისი-Tbilisi
2026

კრებულში წარმოდგენილი მოსაზრებები ეკუთვნის ავორებს და შესაძლოა არ ასახავდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ოფიციალურ პოზიციას. თეზისების შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები.

The views expressed in this publication are those of the authors and do not necessarily represent the official position of the Vocational Education Centre of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. The authors are solely responsible for the content of their abstracts.

ორგანიზატორი:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი

Organised by:

Vocational Education Centre of Ivane Javakhishvili
Tbilisi State University

* * *

პროფესიული განათლება საზოგადოების მდგრადი განვითარების, ეკონომიკური წინსვლისა და ადამიანური კაპიტალის გაძლიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია. გლობალიზაციის, ტექნოლოგიური პროგრესისა და შრომის ბაზრის სწრაფად ცვალებადი მოთხოვნების პირობებში, პროფესიული განათლების წინაშე ახალი გამოწვევები და შესაძლებლობები იკვეთება, რაც მის მუდმივ განვითარებას განაპირობებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი, პროფესიული განათლების განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, 2024 წლიდან ყოველწლიურად მართავს პროფესიული განათლების კონფერენციას, რომელიც პროფესიული განათლების სფეროში არსებული გამოწვევების, განვითარების პერსპექტივებისა და მიღწევების გააზრებასა და განხილვას ემსახურება. კონფერენცია მოკლე დროში მნიშვნელოვან აკადემიურ და პროფესიულ სივრცედ ჩამოყალიბდა, რომელიც აერთიანებს პროფესიულ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დარგის სპეციალისტებს, პარტნიორ ორგანიზაციებსა და პროფესიული განათლების სფეროს სხვა წარმომადგენლებს.

2026 წელს პროფესიული განათლების III კონფერენცია პირველად იმართება საერთაშორისო ფორმატში. კონფერენციის თემა – „პროფესიული განათლების ტრანსფორმაცია გლობალურ ეპოქაში: ინოვაცია, უნარები და პარტნიორობა“

– ეხმიანება პროფესიული განათლების თანამედროვე დღის წესრიგს და ხაზს უსვამს ინოვაციების, მომავლის უნარებისა და პარტნიორობაზე დაფუძნებული თანამშრომლობის განსაკუთრებულ როლს.

კონფერენციის მიზანია პროფესიული განათლების მნიშვნელობის წარმოჩენა, სფეროში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების გაანალიზება, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და პროფესიული განათლების განვითარების ახალი შესაძლებლობების აღმოჩენა. კონფერენციის ერთ-ერთ უმთავრეს ღირებულებას პროფესიული სტუდენტებისა და ახალგაზრდა მკვლევრების აქტიური ჩართულობა წარმოადგენს. მათი მონაწილეობა ხელს შეუწყობს ახალი იდეების წარმოჩენას, აკადემიური დისკუსიის გაღრმავებას, კვლევითი კულტურის განვითარებასა და პროფესიული განათლების სფეროს მდგრად პროგრესს.

კონფერენციის თემატური მიმართულებები მოიცავს პროფესიული განათლების ტრანსფორმაციას, ციფრული კომპეტენციების განვითარებას, კიბერუსაფრთხოებისა და მონაცემთა დაცვის საკითხებს, ინკლუზიურ და სტუდენტზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო მიდგომებს, სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას, პროფესიულ განათლებასა და შრომის ბაზარს შორის ურთიერთქმედების თანამედროვე ტენდენციებს, საერთაშორისო თანამშრომლობის წარმატებულ პრაქტიკას, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და განათლებასა და ინდუსტრიას შორის სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერებას.

წინამდებარე კრებული აერთიანებს კონფერენციის მონაწილეთა თეზისებს, რომლებშიც ასახულია პროფესიული განათლების აქტუალური საკითხები, თანამედროვე გამოწვევები, ინოვაციური მიდგომები, კვლევითი მიგნებები და პრაქ-

ტიკული გამოცდილება. კრებულში თავმოყრილი ნაშრომები ქმნის პროფესიული ცოდნის, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მნიშვნელოვან სივრცეს და გვჯერა, რომ ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების სფეროში აკადემიური და პროფესიული დიალოგის გაღრმავებას, ახალი იდეებისა და ინიციატივების წარმოჩენას, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომ გაძლიერებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი გულწრფელ მადლობას უხდის კონფერენციის ყველა მონაწილეს, მომხსენებელს, რეკომენდატორს, პარტნიორსა და მხარდამჭერს პროფესიული განათლების განვითარების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის და უსურვებს მათ წარმატებას, შემოქმედებით და ნაყოფიერ საქმიანობას, პროფესიულ წინსვლასა და სამომავლოდ კიდევ უფრო მჭიდრო, შედეგიან და ნაყოფიერ თანამშრომლობას.

* * *

Vocational education is one of the key foundations of sustainable social development, economic advancement and the strengthening of human capital. In the context of globalization, technological progress and the rapidly changing demands of the labour market, vocational education faces new challenges and opportunities that drive its continuous development.

With the aim of supporting the development and promotion of vocational education, the Vocational Education Centre of Ivane Javakhishvili Tbilisi State University has been organising an annual Vocational Education Conference since 2024. The conference serves as a platform for exploring and discussing current challenges, development prospects and achievements in the field of vocational education. Within a short period, it has evolved into an important academic and professional forum, bringing together vocational students, graduates, field experts, partner organisations and other stakeholders involved in vocational education.

In 2026, the Third Vocational Education Conference is being held in an international format for the first time. The conference theme, "Transformation of Vocational Education in the Global Era: Innovation, Skills and Partnership," reflects the current developments of vocational education and highlights the crucial role of innovation, future-oriented skills and partnership-based collaboration.

The conference aims to showcase the importance of vocational education, analyze ongoing developments and emerging trends in

the field, facilitate the exchange of best practices and explore new opportunities for the advancement of vocational education. One of the conference's core values is the active involvement of vocational students and young researchers. Their participation contributes to the generation of new ideas, the enrichment of academic dialogue, the development of a research culture and the sustainable progress of the vocational education sector.

The thematic areas of the conference include the transformation of vocational education; the development of digital competencies; issues of cybersecurity and data protection; inclusive and student-centred educational approaches; work-based learning; contemporary trends in the interaction between vocational education and the labour market; successful practices in international cooperation; the development of joint educational programmes; and the strengthening of strategic partnerships between education and industry.

This volume brings together the abstracts of the conference participants, reflecting current issues in vocational education, contemporary challenges, innovative approaches, research findings and practical experience. The collected works create an important platform for sharing professional knowledge, experience and best practices. It is our belief that this publication will contribute to the deepening of academic and professional dialogue in the field of vocational education, the emergence of new ideas and initiatives, as well as the further strengthening of both local and international cooperation.

The Vocational Education Centre of Ivane Javakhishvili Tbilisi State University expresses its sincere gratitude to all conference

participants, presenters, reviewers, partners and supporters for their significant contribution to the development of vocational education, and wishes them success, creativity and productive engagement, professional advancement and even closer, more effective and fruitful cooperation in the future.

ანა აბრამიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის საფინანსო სერვისების პროფესიული პროგრამის სტუდენტი

მარიამ ზედელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის საფინანსო სერვისების პროფესიული პროგრამის სტუდენტი

მწვანე ფინანსების გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე

21-ე საუკუნეში განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ტრენდები უფრო მეტად უკავშირდება მდგრადი განვითარების პრინციპებს, სადაც ეკონომიკური პროგრესი, სოციალური სტაბილურობა და გარემოზე პასუხისმგებელი მიდგომა ურთიერთდაკავშირებულ სისტემად იქცევა. გლობალური ეკონომიკა სწრაფად იღებს ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიებსა და ინოვაციურ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომელთა მთავარი მიზანია კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შემცირება, ენერგოეფექტურობის გაზრდა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება. ამ კონტექსტში განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება მწვანე ფინანსების როლი, როგორც ცენტრალური ბერკეტი ეკონომიკის ეკოლოგიზაციის მიმართულებით. ნაშრომის მიზანია გაანალიზდეს, თუ როგორ მოქმედებს მწვანე ფინანსების განვითარება მცირე და საშუალო საწარმოებზე და რა ცვლილებებს იწვევს მათი საქმიანობის ორგანიზებასა და სტრატეგიებში. მწვანე ფინანსური პროდუქტები – მათ შორის სპეციალიზებული სესხები, გრანტები, ინვესტიციები და სუბსიდიები – მნიშვ-

ნელოვნად ცვლის ტრადიციულ დაფინანსების მოდელებს და ხელს უწყობს ენერგოეფექტური, ინოვაციური და გარემოსდაცვითად უსაფრთხო ტექნოლოგიების დანერგვას SME (მცირე და საშუალო ბიზნესი) სექტორში. ეს პროცესები ხელს უწყობს როგორც ოპერაციული ხარჯების შემცირებას და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაფართოებას, ისე კომპანიების კონკურენტუნარიანობისა და eco-იმიჯის გაძლიერებას. ნაშრომი ასევე ეხება იმ ძირითად გამოწვევებს, რომლებიც აფერხებს მწვანე ფინანსების ფართო გამოყენებას მცირე და საშუალო ბიზნესში – ინფორმაციის ნაკლებობას, მწვანე პროდუქტებზე შეზღუდულ წვდომას, რეგულაციების სირთულესა და შესაბამისი ცოდნის დეფიციტს. მიუხედავად აღნიშნული ბარიერებისა, SME-ს სექტორში მზარდია გაგება, რომ მწვანე ფინანსები წარმოადგენს არა მხოლოდ ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას, არამედ ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვან წყაროსაც.

Ana Abramishvili

Student of the Financial Services Vocational Programme, Vocational Education Centre, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mariam Zedelashvili

Student of the Financial Services Vocational Programme, Vocational Education Centre, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The impact of green finance on small and medium-sized businesses

In the 21st century, development and economic growth trends are increasingly linked to the strengthening of sustainable development principles, where economic progress, social stability

and responsible environmental behavior are viewed as an interconnected system. The global economy rapidly adopts environmentally safe technologies and innovative financial instruments aimed at reducing the impact of climate change, increasing energy efficiency and ensuring the rational use of natural resources. In this context, the role of green finance becomes particularly evident as a central lever for the greening of the economy. The aim of the paper is to analyze how the development of green finance affects small and medium-sized enterprises and what kind of changes it brings to the organization of their activities and strategies. Green financial products – including specialized loans, grants, investments and subsidies – significantly transform traditional financing models and support the introduction of energy-efficient, innovative and environmentally friendly technologies within the SME (Small and Medium Enterprise) sector. These processes contribute both to the reduction of operational costs and the expansion of access to financial resources, as well as to strengthening companies' competitiveness and eco-image. The paper also addresses the main challenges that hinder the widespread use of green finance in small and medium businesses – lack of information, limited access to green financial products, the complexity of regulations and a shortage of relevant knowledge. Despite these barriers, there is a growing understanding within the SME sector that green finance represents not only environmental responsibility but also an important source of economic benefit.

ნინო ალენიკოვი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის სკოლამდელი აღზრდის პროფესიული პროგრამის კურსდამთავრებული

ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებისათვის სკოლამდელ დაწესებულებაში (მუსიკის გაკვეთილზე)

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კერძოდ, სკოლამდელ დაწესებულებაში ენობრივი ბარიერების გადალახვის აუცილებლობა და ამის შესაძლებლობები. მიუხედავად იმისა, რომ ინკლუზიური და ხელმისაწვდომი განათლების იდეა აქტიურად გვხვდება თანამედროვეობაში, მაინც არსებობს ისეთი ბარიერები, რომელთა კვლევის, დაკვირვების და დამუშავების გარეშე ინკლუზიურ განათლებას ვერ მივიღებთ.

აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულია კვლევა სკოლამდელ დაწესებულებაში ენობრივად (და არამარტო) შერეულ ჯგუფში. პირველ რიგში, გამოიკვეთა პრობლემა, შემდგომ გაიწერა 4-კვირიანი ინტენსიური და აღსაზრდელების ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებზე მორგებული გეგმა, რომელიც მოიცავდა რამდენიმე ტიპის გაკვეთილს. კვლევის ფარგლებში, რა თქმა უნდა, ბევრი თავისებურება გამოიკვეთა, თუმცა, საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, ყურადღება გამახვილებულია ენობრივ ბარიერებზე, სირთულეებსა და დაძლევის მექანიზმებზე.

ნაშრომის მიზანია აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა, კერძოდ, ენობრივი კომპეტენციების (ლინგვისტური, დისკურ-

სული, პრაგმატული, სოციალური, სოციოკულტურული) ამაღლება, ენობრივი ბარიერის შეძლებისდაგვარად დაძლევა (A1-A2 დონეების ფარგლებში). სოციალურ-ემოციური განვითარება, ემპათიის უნარის გამომუშავება და well-being-ის მიღწევა, ხოლო ამ ყველაფრის ერთობლიობით აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება.

Nino Alenikovi

Graduate of the Preschool Education Vocational Programme,
Vocational Education Center, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Teaching Georgian as a Second Language through Music Lessons in Preschool Education Institutions

This paper discusses the necessity and possibilities of overcoming language barriers in educational institutions, in particular, in preschool institutions. Although the idea of inclusive and accessible education has become widespread in modern society, there are still barriers that prevent the achievement of inclusive education.

Within the framework of this paper, a study was conducted in a linguistically and culturally diverse preschool group in a preschool institution. The study first identified the problem and a four-week intervention plan was developed, tailored to the age and individual characteristics of the students, which included various educational activities. Within the framework of the study, of course, many features were identified, however, given the focus of the study, the focus is on language barriers, difficulties and coping mechanisms.

The aim of the study is to address this issue, namely, to improve language competencies (linguistic, discursive, pragmatic, social, sociocultural), to reduce language barriers as much as possible (within the A1-A2 proficiency levels). The study also aims to promote social-emotional development, foster empathy, enhance children's well-being and ultimately improve academic performance.

ნინო ბარამაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული პროგრამის სტუდენტი

ნინი ქაჯაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული პროგრამის სტუდენტი

კეთებით სწავლება: როგორ აქცევს რეალურ სამუშაო გარემოში სტაჟირება პროფესიულ სტუდენტს მოთხოვნად კადრად

წინამდებარე ნაშრომში განხილულია „კეთებით სწავლების“ (Learning by Doing) მეთოდოლოგიის როლი და მნიშვნელობა საბუღალტრო და ფინანსური მიმართულების პროფესიული სტუდენტების კვალიფიციურ და მოთხოვნად კადრებად ჩამოყალიბების პროცესში. ნაშრომში გაანალიზებულია ის სტრუქტურული ნაპრალი, რომელიც არსებობს აკადემიურ სივრცეში მიღებულ თეორიულ განათლებასა და რეალურ ბიზნესგარემოში არსებულ პრაქტიკულ გამოწვევებს შორის. ნაჩვენებია, თუ როგორ ეხმარება სტუდენტს რეალურ კომპანიაში გავლილი სტაჟირება პირველადი დოკუმენტაციის დამუშავების, საგადასახადო პორტალებთან (Rs.ge) მუშაობის, თანამედროვე ERP სისტემებისა (Oris, 1C და სხვ.) და აუცილებელი პიროვნული უნარების (Soft Skills) ათვისებაში.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროფესიის ტექნოლოგიურ ტრანსფორმაციას, ხელოვნური ინტელექტისა

(AI) და ავტომატიზაციის გავლენას ფინანსურ სექტორზე და აღწერილია ახალი ეპოქის ბუღალტრის პროფილი, რომელიც ტრადიციული აღმრიცხველიდან ბიზნესის სტრატეგიულ პარტნიორად ყალიბდება. დასკვნით ნაწილში შემოთავაზებულია კონკრეტული რეკომენდაციები საგანმანათლებლო და ბიზნესსექტორისთვის, მათ შორის დუალური განათლების მოდელის გაძლიერების მიმართულებით.

Nino Baramashvili

Student of the Accounting Vocational Programme, Vocational Education Centre, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Nini Kajaia

Student of the Accounting Vocational Programme, Vocational Education Centre, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Learning by doing: How an internship in a real work environment turns vocational students into in-demand personnel

This paper explores the role and significance of the “Learning by Doing” methodology in transforming vocational accounting students into highly demanded professionals. The study analyzes the structural gap between theoretical knowledge acquired in academic settings and the practical challenges of the real business environment. It demonstrates how internships in real companies enable students to master primary documentation, navigate tax portals (Rs.ge), utilize modern ERP systems (Oris, 1C, etc.) and develop essential soft skills.

Special attention is dedicated to the technological transformation of the profession, the impact of Artificial Intelligence (AI) and automation on the financial sector, and the profiling of the modern accountant, who is evolving from a traditional bookkeeper into a strategic business partner. The concluding section offers concrete recommendations for both the educational and business sectors, with a particular focus on strengthening the dual education model.

ქეთევან ბარბაქაძე

სსიპ კოლეჯ „აისის“ პროფესიული სასწავლებლის მეფუტკრეობის პროგრამის კუთხლამთავრებული

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება წარმოადგენს სწავლების თანამედროვე მიდგომას, ნაშრომი ეხება სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას, რომელიც წარმოადგენს სწავლების თანამედროვე და ეფექტურ მიდგომებს, აღნიშნული მეთოდი აერთიანებს თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც ხელს უწყობს სტუდენტის პროფესიული, სოციალური და პიროვნული უნარების განვითარებას, ნაშრომში განხილულია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების არსი, მიზნები, მნიშვნელობა, ძირითადი ფორმები, უპირატესობები და გამოწვევები. ასევე, წარმოდგენილია მისი როლი სტუდენტთა მომზადებაში რეალური სამუშაო გარემოსთვის და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაციის პროცესში, ნაშრომი ხაზს უსვამს პრაქტიკული გამოცდილების მნიშვნელობას ხარისხიანი განათლების მიღებისა და მომავალი პროფესიული წარმატებისათვის. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება ავითარებს კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის, პრობლემების გადაჭრისა და კრიტიკული აზროვნების უნარებს. ასევე ზრდის მოტივაციას, რადგან სტუდენტები ხედავენ საკუთარი ცოდნის პრაქტიკულ მნიშვნელობას. სწავლების ეს ფორმა ხელს უწყობს დამოუკიდებლობის, ინიციატივისა და პროფესიული პასუხისმგებლობის განვითარებას.

Ketevan Barbakadze

Graduate of the Beekeeping Vocational Programme, LEPL College Aisi

Work-based learning

Work-based learning is a modern and effective educational approach that combines theoretical knowledge with practical experience, contributing to the development of students' professional, social, and personal skills. The paper examines the essence, goals, importance, main forms, advantages, and challenges of work-based learning. It also highlights its role in preparing students for real working environments and supporting their adaptation to labour market requirements. The study emphasizes the importance of practical experience for achieving quality education and future professional success. Work-based learning develops communication, teamwork, problem-solving, and critical thinking skills. It also increases motivation, as students are able to see the practical value of their knowledge. This form of learning fosters independence, initiative, and professional responsibility.

გიორგი ბითაროვი

სსიპ კოლეჯ „მეჰმისის“ გრაფიკული დიზაინის შემსწავლელი ინტეგრირებული მიმართულების სტუდენტი

იდენტობის ტრანსფორმაცია: აკადემიური წარუმატებლობიდან პროფესიულ აღიარებამდე

ნაშრომში განხილულია, თუ როგორ იცვლება სტუდენტის იდენტობა პიროვნული თუ პროფესიულ აღიარება, როდესაც ის სკოლიდან პროფესიულ და პრაქტიკულ გარემოში გადადის. კვლევის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია კეროლ დუეკის „აზროვნების მოდელი“, ალბერტ ბანდურას „თვითეფექტიანობა“ და ჰოვარდ გარდნერის „მრავალმხრივი ინტელექტის თეორია“. ტექსტში ნაჩვენებია, თუ როგორ ახშობს ახალგაზრდის შემოქმედებით პოტენციალს წლების განმავლობაში დაგროვილი აკადემიური ტრავმა, რასაც ცუდი შეფასებები და სოციალური წნეხი იწვევს. ნაშრომში ვასაბუთებთ, რომ ვიზუალურ-სივრცითი უნარების ამოქმედება, პირველი რეალური პროდუქტის შექმნა, შეცდომის სამუშაო გამოცდილებად ქცევა და ნიშნების ნაცვლად პორტფოლიოთი შეფასება საუკეთესო გზაა ამ ბარიერების დასაძლევად. დანიელ პენაკის ავტობიოგრაფიული ნაწარმოების, „სკოლის სევდის“ მაგალითზე დაყრდნობით, გაანალიზებულია მენტორობისა და პროფესიული სოციალიზაციის გადამწყვეტი როლი და ჩამოყალიბებულია პრაქტიკული რეკომენდაციები სასწავლებლებისთვის.

Giorgi Bitarovi

Student of the Integrated Graphic Design Programme, LEPL College "Mermisi"

Identity Transformation: From Academic Failure to Professional Recognition.

The paper explores how a student's identity, along with their personal and professional recognition, evolves during the transition from a school environment to a professional and practice-based setting. Carol Dweck's Mindset theory, Albert Bandura's concept of self-efficacy, and Howard Gardner's theory of multiple intelligences serve as the theoretical framework of the study.

The text demonstrates how accumulated academic difficulties, resulting from poor grades and social pressure, can suppress a young person's creative potential. The paper argues that the activation of visual-spatial abilities, the creation of the first tangible product, reframing mistakes as learning experiences and the shift from traditional grading to portfolio-based assessment represent effective ways to overcome these barriers.

Drawing on Daniel Pennac's autobiographical work School Blues, the study analyses the crucial role of mentorship and professional socialization and concludes with practical recommendations for educational institutions.

შაფა ბოზუევა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის საფინანსო სერვისების პროფესიული პროგრამის სტუდენტი

დაზღვევა, როგორც რისკების მართვის მექანიზმი

ნაშრომში კომპლექსურადაა შესწავლილი რისკების თეორიული საფუძვლები, სადაზღვევო სისტემის რეგულირების ასპექტები და საქართველოს სადაზღვევო ბაზარი. ნაშრომის მიზანია დაზღვევის, როგორც რისკების მინიმუმამდე დაყვანის უმთავრესი ინსტრუმენტის ეფექტიანობის შეფასება თანამედროვე ეკონომიკური გამოწვევების ფონზე.

ნაშრომში სიღრმისეულადაა განხილული რისკის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის, არსი და მისი ფუნდამენტური მახასიათებლები. ასევე, გაანალიზებულია რისკების მართვის მეთოდოლოგიური მიდგომები, სადაც დაზღვევა იდენტიფიცირებულია, როგორც ფინანსური ზარალის ტრანსფერისა და სტაბილურობის შენარჩუნების ოპტიმალური გზა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ზედამხედველობის როლსა და იმ საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს ბაზრის გამჭვირვალობასა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნები და რეკომენდაციები ორიენტირებულია ადგილობრივი სადაზღვევო სექტორის სრულყოფასა და რისკების მართვის კულტურის ამაღლებაზე, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგრადობისთვის.

Shapa Bozueva

Student of the Financial Services Vocational Programme, Vocational Education Centre, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Insurance as a Risk Management Mechanism

The paper comprehensively studies the theoretical foundations of risks, aspects of insurance system regulation and the Georgian insurance market. The aim of the paper is to assess the effectiveness of insurance as the main instrument for minimizing risks in the context of modern economic challenges.

The paper discusses in depth the essence of risk as an economic category and its fundamental characteristics. It also analyzes methodological approaches to risk management, where insurance is identified as the optimal way to transfer financial losses and maintain stability. Special attention is paid to the mechanisms of regulation of the insurance system, the role of state supervision and the legislative framework that ensures market transparency and protection of consumer rights.

The conclusions and recommendations formulated as a result of the study are focused on improving the local insurance sector and enhancing the risk management culture, which is critically important for the country's macroeconomic sustainability.

ნათია გაბრიჭიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მენეჯერი

სტრატეგიული საერთაშორისო პარტნიორობების განვითარება პროფესიულ განათლებაში: გლობალური პერსპექტივები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცდილება

თანამედროვე გლობალურ კონტექსტში პროფესიული განათლების ინსტიტუციების კონკურენტუნარიანობა სულ უფრო მეტად განისაზღვრება მათი საერთაშორისო პარტნიორული ქსელის სიღრმითა და მდგრადობით, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქართველოში პროფესიული განათლების მნიშვნელობა დამასშიჩარიცხულთარაოდენობასტაბილურად იზრდება. ნაშრომი, ჯეინ ნაითის ინტერნაციონალიზაციის თეორიულ ჩარჩოსა და პროფესიული განათლებისთვის ადაპტირებულ სამმხრივ (სახელმწიფო–ინდუსტრია–დაწესებულება) მოდელზე დაყრდნობით, განიხილავს პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა მოდელსა და პარტნიორობის განვითარების ეტაპებს.

ამ კონტექსტში დეტალურად არის გაანალიზებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ორი საერთაშორისო თანამშრომლობის მაგალითი – ესტონეთის Valgamaa Vocational Training Centre-თან არსებული პარტნიორობა, რომელიც უკვე კონკრეტულ შედეგებსა და აქტივობებს ეფუძნება, და ესპანეთის Alan Turing Vocational Education Centre-თან თანამშრომლობა, რომელიც განვითარების საწყის ეტაპზე, კონტაქტებისა და ურთიერთინტერესის ფორმირების პროცესშია. აღნიშნული

შემთხვევები წარმოდგენილია, როგორც საერთაშორისო პარტნიორობის განვითარების განსხვავებული ეტაპების ემპირიული ილუსტრაცია.

ნაშრომი ასევე განიხილავს Erasmus+ KA171 კრედიტ მობილობის მექანიზმს და საქართველოს, როგორც „პარტნიორი ქვეყნის", სტატუსთან დაკავშირებულ ინსტიტუციურ თავისებურებებს. კვლევის შედეგად გამოიკვეთება ის მიმართულებები, რომლებიც ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას, ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებასა და ინტერნაციონალიზაციის მდგრადი მოდელების განვითარებას.

Natia Gabrichidze

Internationalization Manager of Vocational Programmes, Vocational Education Centre of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Development of Strategic International Partnerships in Vocational Education: Global Perspectives and the Experience of Tbilisi State University

In the contemporary global context, the competitiveness of vocational education institutions is increasingly determined by the depth and sustainability of their international partnership networks, particularly as the importance of vocational education and enrolment rates in Georgia continue to grow steadily. Drawing on Jane Knight's theoretical framework of internationalization and a tripartite model adapted for vocational education (state–industry–institution), this paper examines various models

of internationalization in vocational education and the stages of partnership development.

Within this framework, the paper provides a detailed analysis of two international cooperation initiatives undertaken by the Vocational Education Centre of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. The first is the partnership with the Valgamaa Vocational Training Centre in Estonia, which is already based on tangible outcomes and implemented activities. The second is the cooperation with the Alan Turing Vocational Education Centre in Spain, which remains at an early stage characterized by initial contacts and the formation of mutual interest. These cases are presented as empirical illustrations of different stages in the development of international partnerships.

The paper also examines the Erasmus+ KA171 Credit Mobility mechanism and the institutional implications of Georgia's status as a "partner country." The findings identify key directions for strengthening international cooperation in vocational education, enhancing institutional capacity, and promoting sustainable models of internationalization.

ნინო გელანტია

სოციოლოგიის მაგისტრი, ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა მკვლევარ-სოციოლოგთა ასოციაციის – GYRSA-ს დამფუძნებელი და დირექტორი, პროფესიული პედაგოგი, ჩინეთის საგანმანათლებლო პროექტების კოორდინატორი

ჩინეთ-საქართველოს თანამშრომლობა პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციისთვის: საპილოტე პროექტის პრაქტიკული გამოცდილება

ნაშრომის მიზანია გააანალიზოს ჩინეთ-საქართველოს თანამშრომლობის მნიშვნელობა პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესში და აჩვენოს, როგორ შეიძლება სტუდენტური მობილობა გადაიზარდოს უფრო მდგრად პროგრამულ პარტნიორობაში. ნაშრომი განიხილავს ჩინეთის პროფესიული განათლების მოდელს, ინდუსტრია-განათლების ინტეგრაციის პრინციპს, საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების ტენდენციებსა და საერთაშორისო თანამშრომლობის საჭიროებას. ავტორის გამოცდილებიდან გამომდინარე, პრაქტიკული შემთხვევის სახით გაანალიზებულია ჩინეთის ერთ-ერთ სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯსა და საქართველოს ერთ-ერთ პროფესიულ კოლეჯს შორის დაწყებული საპილოტე პროექტი, რომლის ფარგლებში ორმა ქართველმა სტუდენტმა გაიარა ინტერვიუსა და დოკუმენტაციის გადარჩევის ეტაპი და ელოდება ჩარიცხვის ოფიციალურ ცნობას. ნაშრომი ეფუძნება თვისებრივ-ანალიტიკურ მიდგომას, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემებს, საერთაშორისო

წყაროებსა და ავტორის პრაქტიკულ გამოცდილებას. სტატიის ძირითადი არგუმენტია, რომ საერთაშორისო მობილობა პროფესიულ განათლებაში უნდა განიხილებოდეს არა როგორც ერთჯერადი სტიპენდია, არამედ როგორც ენობრივი მომზადების, მენტორობის, სასწავლო შედეგების შედარებისა და ერთობლივი პროგრამების განვითარების საწყისი მექანიზმი.

Nino Gelantia

Master of Sociology; Founder and Director of the N(N)LE Georgian Young Researcher Sociologists Association (GYRSA); Vocational Education Teacher; Coordinator of Chinese Educational Projects.

China-Georgia Cooperation for the Internationalization of Vocational Education: Practical Experience of a Pilot Project

The aim of the paper is to analyze the significance of China–Georgia cooperation in the process of the internationalisation of vocational education and to demonstrate how student mobility can evolve into more sustainable program-based partnerships. The study examines the Chinese model of vocational education, the principle of industry–education integration, development trends in Georgian vocational education and the need for international cooperation. Based on the author's experience, a pilot project initiated between a state vocational college in China and a vocational college in Georgia is analyzed as a case study. Within this framework, two Georgian students successfully passed the interview and document screening stages and are currently awaiting official ad-

mission confirmation. The paper is based on a qualitative-analytical approach, data from the National Statistics Office of Georgia, international sources and the author's practical experience. The main argument of the article is that international mobility in vocational education should be considered not as a one-time scholarship opportunity, but as a starting mechanism for language preparation, mentoring, comparison of learning outcomes and the development of joint educational programmes.

ირინე გოჩიტაშვილი

განათლების მაგისტრი, მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი, სსიპ – კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

პროფესიული პროგრამების ინტეგრირება სკოლაში – გამოწვევები, რისკები და შესაძლებლობები

თანამედროვე განათლების სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ზოგადი და პროფესიული განათლების ეფექტიანი ინტეგრირება. პროფესიული პროგრამების სკოლაში დანერგვა ხელს უწყობს მოსწავლეთა პრაქტიკული უნარების განვითარებას, კარიერული ორიენტაციის გაძლიერებასა და დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების ჩამოყალიბებას. ამავდროულად, აღნიშნული პროცესი დაკავშირებულია სხვადასხვა გამოწვევასთან, მათ შორის ინფრასტრუქტურულ, ფინანსურ და ადამიანურ რესურსებთან. სტატიაში განხილულია პროფესიული პროგრამების ინტეგრირების მნიშვნელობა, საერთაშორისო გამოცდილება, არსებული გამოწვევები, რისკები და შესაძლებლობები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროფესიული განათლების როლს ახალგაზრდების კონკურენტუნარიანობის ზრდისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

Irine Gochitashvili

Master of Education, Lead Teacher of Mathematics

Integration of Vocational Programmes into Schools – Challenges, Risks, and Opportunities

One of the significant challenges facing modern education systems is the effective integration of general and vocational education. The introduction of vocational programmes into schools promotes the development of students' practical skills, strengthens career orientation, and supports the acquisition of competencies required for employment. At the same time, this process is associated with various challenges, including infrastructural, financial, and human resource constraints. This article discusses the importance of integrating vocational programmes into schools, examines international experience, and analyzes existing challenges, risks, and opportunities. Particular attention is given to the role of vocational education in enhancing young people's competitiveness and ensuring alignment with labour market demands.

ვანესა რესუა ეირასი

კომპიუტერული მეცნიერებების ინჟინერი, საერთაშორისო პროგრამების კოორდინატორი საჯარო პროფესიული და საშუალო განათლების სკოლა "IES de Teis"-ში

საშუალო დონის პროფესიული განათლების დანერგვა IES de Teis-ში, ესპანეთი: სტრუქტურა, საწარმოო პრაქტიკა და Erasmus+-ის პერსპექტივები

წინამდებარე ტექნიკური ნაშრომი აანალიზებს საშუალო პროფესიული განათლების (Grado Medio) აქტიურ განხორციელებას საჯარო საშუალო საგანმანათლებლო დაწესებულებაში IES de Teis (ვიგო, ესპანეთი). ყურადღება გამახვილებულია პროფესიულ მიმართულებებში – ინფორმატიკა და კომუნიკაციები (Informática y Comunicaciones) და პერსონალური იმიჯი (Imagen Personal) – სტრატეგიულ იმპლემენტაციაზე. დოკუმენტი აფასებს სამუშაო ადგილზე განხორციელებული მოდულების (Formación en Centros de Trabajo) კრიტიკულ როლს და ახალი კომპეტენციების ინტეგრაციას. ნაშრომი იკვლევს, თუ როგორ ხდება სტუდენტზე ორიენტირებული ინოვაციური სწავლებისა და ციფრული, მწვანე და რბილი უნარების სისტემური ინტეგრაცია ტექნიკურ განათლებაში. გარდა ამისა, დეტალურად არის განხილული მომავალი ინტერნაციონალიზაციის ჩარჩო Erasmus+ სტუდენტური მობილობის ქსელის ფარგლებში. აღნიშნული მიდგომები კონტექსტუალიზებულია 2026 წლის საერთაშორისო პროფესიული განათლების კონფერენციისთვის, რომელიც ორგანიზებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ.

Vanesa Resúa Eiras

Computer Science Engineer, International Programs Coordinator at IES de Teis

Implementation of intermediate vocational education at IES de Teis, Vigo, Spain: Structure, Company Placements and Erasmus+ Horizons

This technical paper analyzes the active implementation of Intermediate Vocational Education (Grado Medio) at the public secondary institution IES de Teis (Vigo, Spain). Focusing on the strategic execution within the professional families of Informática y Comunicaciones and Imagen Personal, this document evaluates the critical role of localized company-based modules (Formación en Centros de Trabajo) and the integration of new competencies. It explores how student-centred innovative learning and digital, green, and soft skills are systematically integrated into technical education. Furthermore, the framework for future internationalization via the Erasmus+ student mobility network is detailed. These paradigms are contextualized for submission to the 2026 International VET Conference organized by Tbilisi State University.

სალომე ენუქიძე

ფიდოდოგიის მაგისტრი; ივანე ჯავახიშვიდის სახედობის თბიდისის სახედმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათდების ცენტრის მასწავლებელი

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში

წინამდებარე ნაშრომი ეხება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობას, შესაძლებლობებსა და გამოწვევებს. თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიები ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა, რის გამოც მათი გავლენა ბავშვთა განვითარებაზე განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. კვლევის მიზანია გააანალიზოს, თუ როგორ მოქმედებს ციფრული რესურსები ბავშვის კოგნიტურ, სოციალურ, ემოციურ და საგანმანათლებლო განვითარებაზე, ასევე გამოიკვეთოს როგორც მათი დადებითი, ისე უარყოფითი ასპექტები.

სტატიაში განხილულია ციფრული ტექნოლოგიების როლი ადრეული განათლების პროცესში, მათ შორის – საგანმანათლებლო აპლიკაციების, ინტერაქტიული თამაშების, მულტიმედიური რესურსებისა და ონლაინ პლატფორმების გამოყენება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, თუ როგორ უწყობს ხელს სწორად შერჩეული და ასაკზე მორგებული ციფრული მასალა ბავშვის შემეცნებითი უნარების, შემოქმედებითი აზროვნების, მეტყველებისა და პრობლემების გადაჭრის უნარის განვითარებას. ამასთანავე, ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ტექნოლოგიების გამოყენება ეფექტიანია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ხდება მიზანმიმართულად, პედაგოგისა და მშობლის ჩართულობითა და კონტროლით.

კვლევა ასევე ეხება ტექნოლოგიების გადაჭარბებული გამოყენების შესაძლო რისკებს, როგორიცაა სოციალური იზოლაცია, ფიზიკური აქტივობის შემცირება, ყურადღების კონცენტრაციის სირთულეები და ეკრანზე დამოკიდებულების ფორმირება. განხილულია საერთაშორისო რეკომენდაციები ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ციფრული მოწყობილობების გამოყენების ხანგრძლივობასა და ფორმებთან დაკავშირებით.

სტატიის ფარგლებში გამოყენებულია სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველზეც გამოიკვეთა, რომ ციფრული ტექნოლოგიები შეიძლება იქცეს ეფექტიან საგანმანათლებლო ინსტრუმენტად, თუ მათი გამოყენება დაბალანსებულად და სწორად იქნება დაგეგმილი. ნაშრომი ხაზს უსვამს პედაგოგების, მშობლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობის მნიშვნელობას, რათა ტექნოლოგიური გარემო ბავშვების განვითარების ინტერესებსა და საჭიროებებს შეესაბამებოდეს.

Salome Enukidze

Master of Philology; Teacher at the Vocational Education Centre of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Use of Digital Technologies in Early Childhood and Preschool Education

This article deals with the importance, opportunities and challenges of using digital technologies in early and preschool age. In the modern world, technologies have become an integral part of everyday life, which is why their impact on children's development

requires special attention. The aim of the study is to analyze how digital resources affect a child's cognitive, social, emotional and educational development, as well as to identify both their positive and negative aspects.

The article discusses the role of digital technologies in the early education process, including the use of educational applications, interactive games, multimedia resources and online platforms. Special attention is paid to how properly selected and age-appropriate digital materials contribute to the development of a child's cognitive skills, creative thinking, speech and problem-solving skills. At the same time, the paper emphasizes that the use of technologies is effective only when it is purposeful, with the involvement and control of the teacher and parent.

The study also addresses the potential risks of excessive technology use, such as social isolation, reduced physical activity, difficulties in concentration, and screen dependency. International recommendations regarding the duration and forms of digital device use, taking into account children's age characteristics, are discussed.

The article uses a literature review method to demonstrate that digital technologies can be an effective educational tool if their use is balanced and planned properly. The paper emphasizes the importance of collaboration between teachers, parents and educational institutions to ensure that the technological environment is aligned with the developmental interests and needs of children.

ნინო ერქომაიშვილი

საბავშვო ბაღის „პინიკონი“ აღმზრდელი პედაგოგი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული

მუსიკა ბაღში – მუსიკის მნიშვნელობა ადრეულ განათლებაში

ადრეული და სკოლამდელი ასაკი წარმოადგენს ადამიანის განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპს, როდესაც ყალიბდება პიროვნების ძირითადი უნარები, დამოკიდებულებები და ღირებულებები. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მუსიკას, რომელიც არა მხოლოდ გართობის საშუალებაა, არამედ ბავშვის მრავალმხრივი განვითარების ეფექტური ინსტრუმენტიც. მუსიკალური აქტივობები ხელს უწყობს ფიზიკური, კოგნიტური, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას, აძლიერებს კომუნიკაციის შესაძლებლობებს, ავითარებს შემოქმედებითობას და ხელს უწყობს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას.

ნაშრომში განხილულია მუსიკის გავლენა ბავშვის განვითარებაზე როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე. წარმოდგენილია საბავშვო ბაღ „პინიკონში“ განხორციელებული მუსიკალური აქტივობების გამოცდილება, აღმზრდელის ჩართულობის მნიშვნელობა და პროგრამა „მუსიკა ბაღში“, რომელიც დაფუძნებულია ჰოლისტური განვითარების პრინციპებზე და თანამედროვე ევროპულ საგანმანათლებლო მიდგომებზე.

Nino Erkomaishvili

Teacher at kindergarten "Pinikoni"; Graduate of the Vocational Education Program at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Music in Kindergarten: The Importance of Music in Early Childhood Education

Early childhood and the preschool years are among the most important stages of human development, during which fundamental personality traits, skills, attitudes and values are formed. In this process, music plays a particularly significant role, as it is not only a source of entertainment but also an effective tool for a child's multifaceted development. Musical activities contribute to the development of physical, cognitive, emotional and social skills, enhance communication abilities, foster creativity and support the holistic development of the child.

This paper examines the impact of music on child development from both theoretical and practical perspectives. It presents the experience of musical activities implemented at the kindergarten "Pinikoni" highlights the importance of educator involvement, and discusses the program "Music in the Kindergarten" which is based on the principles of holistic development and contemporary European educational approaches.

მაია თოიძე

სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის მოადგილე, სოციალური მეცნიერებების დოქტორი

დუალური პროფესიული განათლების გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები

მოხსენებაში განხილულია დუალური პროფესიული განათლების განვითარების ტენდენციები საქართველოში და მისი მდგრადობის ძირითადი გამოწვევები. ანალიზი ეყრდნობა 2016 – 2025 წლების ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, საერთაშორისო გამოცდილების შედარებით განხილვასა და დუალური პროგრამების განხორციელების პრაქტიკულ ქეისებს. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ 2022 წლის შემდეგ სამართლებრივი ჩარჩოს ფორმალიზებამ სისტემის წინაშე წარმოშვა ახალი ადმინისტრაციული და ორგანიზაციული მოთხოვნები, რომელთა შესრულება ყველა სექტორისთვის თანაბრად რეალისტური არ აღმოჩნდა. ევროპული მოდელების შედარება აჩვენებს, რომ დუალური განათლების მდგრადობა ეფუძნება სახელმწიფოს, საგანმანათლებლო დაწესებულებების, პალატების/დარგობრივი ორგანიზაციებისა და კომპანიების დაბალანსებულ პასუხისმგებლობას; საქართველოს შემთხვევაში კი წამყვანი როლი კვლავ სახელმწიფოს მხარეს არის კონცენტრირებული, ხოლო კომპანიებისთვის პირდაპირი ფინანსური და ინსტიტუციური სტიმულები არასაკმარისად არის განვითარებული.

Maia Toidze

Deputy Director, LEPL College Blacksea; Doctor of Social Sciences

Dual Vocational Education: Challenges and Development Prospects

The article examines trends in the development of dual vocational education in Georgia and its main sustainability challenges. The analysis is based on official statistical data from 2016–2025, a comparative review of international experience, and practical cases of dual programme implementation. The paper shows that after 2022 the formalization of the legal framework created new administrative and organizational requirements for the system, the fulfillment of which is not equally realistic for all sectors. A comparison of European models shows that the sustainability of dual education is based on a balanced responsibility of the state, educational institutions, chambers/sectoral organizations, and companies; in the case of Georgia, however, the leading role remains concentrated on the state, while direct financial and institutional incentives for companies are insufficiently developed.

სოფიო კაკაურიძე

განათლების მეცნიერების მაგისტრი და ამავე მიმართულების დოქტორანტი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

პროფესიული განათლება, როგორც სატრანზიტო პლატფორმა: საფეხურებრივი ჰარმონიზაციის გამოწვევები და პერსპექტივები

თანამედროვე საგანმანათლებლო ტრანზიციის (გარდამავალ) პროცესში, პროფესიული განათლების სისტემა წარმოადგენს ეკონომიკური სტაბილურობისა და შრომის ბაზრის მოდერნიზაციის უმნიშვნელოვანეს ბერკეტს; იგი გარდაიქმნა სტრატეგიულ და მრავალფუნქციურ სატრანზიტო ხიდად, რომელიც ორგანულად აკავშირებს და სამომავლო პერსპექტივაში, კიდევ უფრო მჭიდროდ დააკავშირებს ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს აკადემიურ საფეხურებს.

წინამდებარე ნაშრომის ცენტრალური თეზისს წარმოადგენს მოსაზრება, რომ ინტეგრირებული საშუალო-პროფესიული პროგრამებისა და უმაღლესი განათლების „მოკლე ციკლის“ (ასოცირებული ხარისხის) მოდელების წარმატებული ფუნქციონირება ქმნის მოქნილ, დემოკრატიულ და უწყვეტი განათლების ერთიან ეკოსისტემას. მიუხედავად პოზიტიური საკანონმდებლო ძვრებისა, რეფორმის სრულფასოვან რეალიზებას პრაქტიკაში აფერხებს ისეთი სისტემური გამოწვევები როგორიცაა: სოციალური სტიგმა, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ადამიანური კაპიტალისა და მასწავლებელთა კონკურენტუნარიანი ანაზღაურების დეფიციტი, კერძო სექტორის დაბალი ჩართულობა პრქტიკულ სწავლებაში (კოოპერაციული და

დუალური განათლების ჭრილში), უნივერსიტეტების „ბიუროკრატიული“ წინააღმდეგობა კრედიტების აღიარების პროცესში და სტანდარტების შრომის ბაზრის დინამიკასთან (გარკვეულწილად) შეუსაბამობა.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ სისტემის ეფექტიანი განვითარების პერსპექტივა პირდაპირ არის დამოკიდებული სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის გაძლიერებაზე, ციფრული და მწვანე უნარების ინტეგრაციასა და ინკლუზიური მოდელების დანერგვაზე. შესაბამისად, მკაფიო, გამჭვირვალე მარეგულირებელი აქტების დანერგვა, სასკოლო სივრცეში ადრეული პროფესიული ორიენტაციის გაძლიერება და ბიზნესსექტორისთვის მძლავრი ეკონომიკური სტიმულების შექმნა გადამწყვეტი პირობაა სტრუქტურული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. პროფესიული განათლების ტრანსფორმაცია არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ სოციალურ-ეკონომიკური კრიზისების დაძლევისა და გრძელვადიანი მდგრადი განვითარების ფუნდამენტური წინაპირობაა.

Sopio Kakauridze

Master of Education Sciences and PhD Candidate in the same field; Quality Assurance Manager, Vocational Education Centre of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Vocational Education as a Transition Platform: Challenges and Perspectives of Level-Based Harmonization

In the process of contemporary educational transition, the vocational education system serves as the most important lever for economic stability and labour market modernization; It has transformed into a strategic, multifunctional transitional bridge that or-

ganically connects, and, in the future, will more closely integrate, general education and higher academic levels.

The main thesis of the topic postulates that the successful operation of integrated secondary-vocational programmes and "short-cycle" (associate degree) models of higher education establishes a flexible, democratic and unified lifelong learning ecosystem. Despite positive legislative advancements, the comprehensive realization of this reform in practice is hindered by system challenges, such as: social stigma, lack of human capital and competitive teacher compensation in vocational education institutions, low involvement of the private sector in practical training (within the cooperative and dual education), "bureaucratic" resistance of universities in the process of credit recognition, and (to some extent) inconsistency of standards with labour market dynamics. The paper notes, that the prospects for the system's effective development directly depends on strengthening public-private partnerships, integrating digital and green skills, and implementing inclusive models. Accordingly, the introduction of clear, transparent regulatory acts, the enhancement of early vocational orientation within school environments, and the creation of robust economic incentives for the business sector are crucial conditions for eliminating structural gaps. The transformation of vocational education is a fundamental precondition not only for overcoming socio-economic crises but also for achieving long-term sustainable development.

ნანი კაციტაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის საექთნო განათლების პროფესიული პროგრამის სტუდენტი

ექთნის პროფესიის თანამედროვე გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები

საბოლოო ჯამში, ნაშრომში წარმოდგენილია კომპლექსური რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია განათლების სექტორს, უნივერსიტეტებს, საარქივო დაწესებულებებსა და კულტურულ ინსტიტუციებს შორის სტრატეგიული, ინტერდისციპლინური პარტნიორობის გაძლიერებლად. ავტორი ასკვნის, რომ ციფრული ტექნოლოგიებისა და ჰუმანიტარული ცოდნის სინთეზი პროფესიულ განათლებაში არის გარანტი იმისა, რომ საქართველოს ისტორიული მეხსიერება დაცული და ხელმისაწვდომი იქნება გლობალურ ციფრულ სივრცეში.

Nick Siarg

Bachelor of History; Student at the Vocational Education Centre of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Role of European Experience in the Development of Vocational Programs for Cultural Heritage and Digital Humanities in Georgia

This paper discusses in detail the importance of European experience transfer and internationalization in the process of modernizing vocational educational programs in the fields of cultural heritage protection and Digital Humanities (DH) in Georgia. In the era of globalization, Industry 4.0, and rapid technological progress, the digital conservation, cataloging, and visualization of historical sources, multilingual archives, libraries, and tangible or intangible cultural monuments are acquiring strategic, national importance. The study provides an in-depth analysis of successful educational models from leading European countries (such as Germany, France, and Italy), where digital humanities are no longer viewed merely as a theoretical discipline, but are organically integrated into the system of vocational education and practical training.

Based on specific examples of international partnerships, institutional cooperation, and Erasmus+ mobility programs, the research demonstrates how the implementation of European standards facilitates capacity building and skill advancement for Georgian specialists and students. This approach ensures the preparation of a workforce that fully meets the contemporary technological demands of both local and international labor markets–particularly in fields such as database management, the application of GIS (Geo-

graphic Information Systems) technologies in cultural heritage, and digital 3D reconstruction.

Ultimately, the paper presents a comprehensive set of recommendations aimed at strengthening strategic, interdisciplinary partnerships between the educational sector, universities, archival repositories, and cultural institutions. The author concludes that the synthesis of digital technologies and humanities knowledge within vocational education guarantees that Georgia's historical memory will be effectively preserved and remain accessible within the global digital space.

გვანცა ფორჩხიძე

ადამიანური ჰესურსების მართვის მაგისტრი, პროფესიული განათლების მასწავლებელი/ადამიანური ჰესურსების მართვის სპეციალისტი

პროფესიული განათლება, ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია და შრომის ბაზარი: ახალი მოთხოვნები ახალი შესაძლებლობებისთვის

თანამედროვე ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია და ხელოვნური ინტელექტის სწრაფი განვითარება მნიშვნელოვნად ცვლის შრომის ბაზრის სტრუქტურას, სამუშაოს შინაარსსა და დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციებს. ნაშრომის მიზანია გააანალიზოს ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის გავლენა შრომის ბაზარზე, გამოავლინოს თანამედროვე ეკონომიკის მიერ მოთხოვნილი უნარები და შეაფასოს პროფესიული განათლების როლი აღნიშნულ ცვლილებებთან ადაპტაციის პროცესში. კვლევა ეფუძნება საერთაშორისო ორგანიზაციების (WEF, OECD, ILO, CEDEFOP) ანგარიშებისა და საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების მონაცემების ანალიზს. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ იზრდება მოთხოვნა როგორც ციფრულ და ტექნოლოგიურ, ისე ტრანსვერსალურ უნარებზე, მათ შორის ანალიტიკურ აზროვნებაზე, პრობლემების გადაჭრის, კომუნიკაციისა და კრეატიულობის უნარებზე. ნაშრომი ადასტურებს, რომ პროფესიული განათლების სისტემის ტრანსფორმაცია, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების განვითარება და შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირი წარმოადგენს კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის ფორმირების მნიშვნელოვან წინაპირობას.

Gvantsa Porckhidze

Master's in Human Resource Management; Vocational Education Teacher / Human Resource Manager

Modern Technological Transformation and the Role of Vocational Education in the Labour Market

Modern technological transformation and the rapid development of artificial intelligence are significantly changing the structure of the labour market, the nature of work, and the competencies required for employment. The aim of this paper is to analyse the impact of technological transformation on the labour market, identify the skills demanded by the modern economy, and assess the role of vocational education in the process of adapting to these changes. The study is based on the analysis of reports from international organisations (WEF, OECD, ILO, CEDEFOP) and data related to the development of vocational education in Georgia. The findings show that demand is increasing for both digital and technological skills, as well as transversal skills, including analytical thinking, problem-solving, communication, and creativity. The paper confirms that the transformation of the vocational education system, the development of work-based learning, and close links with the labour market are important prerequisites for the formation of competitive human capital.

აიდა ქიტაშვილი-კვაჭანტირაძე

ეკონომიკის დოქტორი, სსიპ იღია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიული მასწავლებელი

კათედრის როლი თანამედროვე პროფესიულ კოლეჯებში: გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები

ნაშრომში განხილულია პროფესიული კოლეჯის წრფივი ორგანიზაციული სტრუქტურის მოდიფიცირების მცდელობის მაგალითზე კათედრების შესაძლო ფუნქციონირების ხედვა და ექსპერიმენტული შედეგები. ყურადღება ეთმობა ზოგადად კათედრების, როგორც სტრუქტურულ-მმართველობითი ერთეულების შექმნის მიზნებს პროფესიულ კოლეჯებში, მათი ფუნქციონირების მექანიზმს და როლს პასუხისმგებლობის დელეგირებისა და თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში. გაშუქებულია ის გამოწვევები, რომლებიც განაპირობებს კათედრის როლს კოლეჯის სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიურ მხარდაჭერაში, პროფესიული გამოცდილების გაზიარებაში, საქმიანობის კოორდინირებასა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.

შესწავლილია საერთაშორისო გამოცდილება, რომლის ანალიზის საფუძველზე წარმოჩენილია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კათედრების მნიშვნელობა სასწავლო პროგრამების განვითარების, სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, პროფესიული მასწავლებლების თვითგანვითარების ხელშეწყობისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის გაძლიერების მიმართულებით. ანალიტიკური მიგნებები აჩვენებს, რომ კათედ-

რების ეფექტიანი საქმიანობა ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხიან მართვას, მასწავლებელთა მეთოდოლოგიური და შემოქმედებითი კომპეტენციების განვითარებას და განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. სტატია ორიენტირებულია ამ მიგნებებისა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებაზე.

სტატიის ძირითადი ნაწილი ეთმობა ადგილობრივი კოლეჯის მაგალითზე კათედრის საექსპერიმენტო საქმიანობის გავლენის შესწავლას საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიან კოორდინაციაზე და ინოვაციების დანერგვაზე. ასევე განხილულია კოლეჯის ბაზაზე ეკონომიკური საქმიანობის კონცეფციის რეალიზაციის საკითხები.

Aida Kitashvili-Kvatchantiradze

Doctor of Economics, Vocational Teacher at LEPL
Ilia Tsinamdzgvrishvili College

The Role of Departments in Modern Vocational Colleges: Challenges and Development Prospects

The article presents the vision and experimental results of the potential functioning of academic departments, based on an attempt to modify the linear organizational structure of a vocational college. Particular attention is paid to the objectives of establishing academic departments in vocational colleges as structural and managerial units, their operating mechanisms, and their role in the delegation of responsibilities and the development of collaborative relationships. The article also highlights the challenges that shape the role of academic departments in providing methodological support for the teaching and learning process, sharing

professional experience, coordinating activities, and improving the quality of teaching and learning.

International experience has been examined, and based on its analysis, the importance of academic departments in vocational education institutions is demonstrated in terms of curriculum development, quality assurance, support for the professional self-development of vocational teachers, and strengthening alignment with labor market requirements. The analytical findings indicate that the effective functioning of academic departments contributes to the quality management of the teaching and learning process, the development of teachers' methodological and creative competencies, and the enhancement of educational quality. The article is focused on sharing these findings and international experience.

The main part of the article is devoted to examining the impact of the experimental activities of an academic department, using the example of a local college, on the effective coordination of the educational process and the implementation of innovations. The article also discusses issues related to the implementation of the concept of economic activity within a college setting.

სალომე ღაჭავა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის „საბაჟო საქმის“ პროფესიული პროგრამის კურსდამთავრებული

ბლოკჩეინი საბაჟო დეკლარირებაში – გამჭვირვალობა და თაღლითობის პრევენცია

წინამდებარე ნაშრომი მიმოიხილავს ბლოკჩეინ ტექნოლოგიის როლს თანამედროვე საბაჟო დეკლარირების პროცესში და მის გავლენას ინფორმაციის გამჭვირვალობის ზრდასა და ფინანსური თუ დოკუმენტური თაღლითობის პრევენციაზე. კვლევა აერთიანებს საბაჟო სისტემაში ბლოკჩეინის ინტეგრაციის თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლებს, სადაც განხილულია მონაცემთა დეცენტრალიზებული შენახვისა და უცვლელობის პრინციპები, რომლებიც პრაქტიკულად გამორიცხავს წარდგენილი დეკლარაციების უკანონო მანიპულაციასა და ჩანაცვლებას. ნაშრომში ასევე გაანალიზებულია სმარტ-კონტრაქტების (Smart Contracts) ფუნქციონირების მექანიზმები საზღვრის კვეთის პროცესში, რაც უზრუნველყოფს ტვირთის ავტომატიზებულ მიკვლევადობას, დოკუმენტების სწრაფ შედარებასა და საბაჟო გადასახადების მყისიერ ადმინისტრირებას ადამიანური ფაქტორისა და შესაძლო კორუფციული რისკების მინიმუმამდე დაყვანის პირობებში. გარდა ამისა, კვლევა ეყრდნობა საერთაშორისო გამოცდილების ანალიზს, მათ შორის ევროკავშირის საზღვრისპირა ინიციატივებს, აზიის რეგიონის CADENA პლატფორმასა და სინგაპურის TradeTrust ეკოსისტემას, სადაც შეჯამებულია მიღებული ეკონომიკური ეფექტი და ტექნოლოგიის დანერგვასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევები.

Salome Gatchava

Graduate of the Vocational Programme in Customs Affairs, Vocational Education Centre, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Blockchain in Customs Declaration – Transparency and Fraud Prevention

This paper examines the role of blockchain technology in modern customs declaration processes and its impact on increasing information transparency and preventing financial and documentary fraud. The study integrates the theoretical and practical foundations of blockchain implementation in customs systems, focusing on the principles of decentralized data storage and immutability, which effectively eliminate the possibility of illegal manipulation or substitution of submitted declarations.

The paper also analyzes the mechanisms of Smart Contracts in the context of border crossing procedures, demonstrating how automated code ensures cargo traceability, rapid document verification, and real-time administration of customs duties, while minimizing the human factor and potential corruption risks.

In addition, the research draws on international best practices, including cross-border initiatives in the European Union, the CADENA platform in the Asian region, and Singapore's TradeTrust ecosystem, summarizing both the achieved economic impact and the key challenges associated with the implementation of this technology.

ლანა ღოღობერიძე

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი; კოლეჯი „მერიდიანი“; პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი; პროფესიული მასწავლებელი

ანნა ვერძაძე

სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

პროფესიული განათლების ციფრული ტრანსფორმაცია და სტუდენტზე ორიენტირებული ინოვაციური სწავლება: კოლეჯ „მერიდიანის“ გამოცდილება

ნაშრომის მიზანია პროფესიული განათლების ციფრული ტრანსფორმაციის თანამედროვე ტენდენციების შესწავლა და მათი მნიშვნელობის შეფასება სასწავლო პროცესის განვითარების კონტექსტში. კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება ლიტერატურის მიმოხილვას, კოლეჯ „მერიდიანის“ შემთხვევის ანალიზს და კოლეჯში განხორციელებული კმაყოფილების კვლევის შედეგების განხილვას. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ციფრული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობებზე, როგორც სწავლების ხარისხის გაუმჯობესების, ასევე ადმინისტრაციული პროცესების ოპტიმიზაციის მიმართულებით. ძირითადი შედეგები აჩვენებს, რომ ციფრული ინსტრუმენტების ინტეგრაცია ზრდის სასწავლო პროცესის ეფექტიანობას, აუმჯობესებს კომუნიკაციას და ხელს უწყობს სტუდენტზე ორიენტირებული, მოქნილი და ხელმისაწვდომი სასწავლო გარემოს განვითარებას. კმაყოფილების კვლევის შედეგები დამატებით ადასტურებს, რომ ციფრული სერვისების გამოყენება დადებითად აისახება სტუდენტებისა და პერსონალის გამოცდილებაზე. დასკვნის სახით, ციფრული

ტრანსფორმაცია წარმოადგენს პროფესიული განათლების განვითარების უწყვეტ, სტრატეგიულ და სისტემურ პროცესს.

Lana Ghoghoberidze

Master of Business Administration; College "Meridiani"; Quality Assurance Manager in Vocational Education; Vocational Teacher

Anna Verdzadze

Head of the Teaching and Learning Process Support Service

Digital Transformation of Vocational Education and Student-Centered Innovative Teaching: The Experience of College "Meridiani"

The aim of this paper is to study modern trends in the digital transformation of vocational education and assess their significance in the context of the development of the learning process. The research methodology is based on a literature review, a case analysis of College Meridiani and the results of a satisfaction survey conducted at the College. The paper focuses on the opportunities offered by digital technologies and artificial intelligence both for improving the quality of teaching and for optimizing administrative processes. The main findings show that the integration of digital tools increases the efficiency of the educational process, improves communication and supports the development of a student-centered, flexible and accessible learning environment. The results of the satisfaction survey further confirm that the use of digital services has a positive impact on the experience of students and staff. In conclusion, digital transformation represents a continuous, strategic and systematic process for the development of vocational education.

ნანა ჩადუნელი

საქართველოს ბიზნესის აკადემია – SBA; სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სპეციალისტი; პროფესიული მასწავლებელი

პროფესიული განათლება როგორც შესაძლებლობა და არა ალტერნატივა

ნაშრომი განიხილავს პროფესიული განათლების თანამედროვე მნიშვნელობას, მის ტრანსფორმაციასა და საზოგადოებრივ აღქმაში მიმდინარე ცვლილებებს გლობალიზაციის, ტექნოლოგიური პროგრესისა და შრომის ბაზრის სწრაფად ცვალებადი მოთხოვნების ფონზე. კვლევა ყურადღებას ამახვილებს პროფესიულ განათლებაზე, როგორც დამოუკიდებელ, ღირებულ და პერსპექტიულ საგანმანათლებლო მიმართულებაზე, რომელიც აღარ უნდა აღიქმებოდეს მხოლოდ აკადემიური განათლების ალტერნატივად ან „გეგმა B“-დ.

სტატიაში გაანალიზებულია პროფესიული განათლების როლი პრაქტიკულ უნარებზე დაფუძნებული კვალიფიციური კადრების მომზადებაში, კარიერული განვითარების ხელშეწყობასა და პიროვნული ზრდის პროცესში. განხილულია სწავლების თანამედროვე მიდგომები, მათ შორის „სწავლა კეთებით“, დუალური განათლების მოდელი, სიმულაციური სწავლება და რეალურ სამუშაო გარემოზე ორიენტირებული პრაქტიკული აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროფესიული განათლების გავლენას სტუდენტის თვითრწმენის, დამოუკიდებლობის, პასუხისმგებლობისა და

თვითრეალიზაციის ჩამოყალიბებაზე. ხაზგასმულია რბილი უნარების – ეფექტური კომუნიკაციის, კრიტიკული აზროვნების, გუნდური მუშაობისა და პრობლემების გადაჭრის მნიშვნელობა, რაც თანამედროვე დამსაქმებლების ერთ-ერთ უმთავრეს მოთხოვნას წარმოადგენს.

ასევე განხილულია პროფესიული განათლების წინაშე არსებული გამოწვევები: საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპები, ინფორმირებულობის დაბალი დონე და პროფესიული პროგრამების არასაკმარისი პოპულარიზაცია. ნაშრომი ეხება განვითარების პერსპექტივებსაც, მათ შორის ციფრული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციას სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, ინდივიდუალურ სასწავლო მიდგომებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნების უკეთ პროგნოზირებას.

პირადი პროფესიული გამოცდილებისა და თანამედროვე საგანმანათლებლო ტენდენციების ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ პროფესიული განათლება წარმოადგენს არა მხოლოდ კონკრეტული პროფესიის დაუფლების საშუალებას, არამედ ძლიერ მექანიზმს სოციალური ინტეგრაციის, ეკონომიკური განვითარების, კონკურენტუნარიანობის ზრდისა და წარმატებული მომავლის შექმნისათვის.

Nana Chaduneli

Learning Process Management Service Specialist at Georgian Business Academy – SBA; Vocational Teacher

Vocational Education as an Opportunity and Not an Alternative

This paper examines the contemporary significance of vocational education, its transformation, and the ongoing changes in public perception in the context of globalization, technological progress, and the rapidly evolving demands of the labor market. The study focuses on vocational education as an independent, valuable, and promising educational pathway that should no longer be perceived merely as an alternative to academic education or as a "Plan B."

The article analyzes the role of vocational education in preparing qualified professionals with practical skills, supporting career development, and fostering personal growth. It discusses modern teaching approaches, including learning by doing, the dual education model, simulation-based learning, and practice-oriented activities aligned with real work environments, all of which contribute to the development of students' professional competencies.

Particular attention is given to the impact of vocational education on shaping students' self-confidence, independence, responsibility, and self-realization. The paper emphasizes the importance of soft skills – such as effective communication, critical thinking, teamwork, and problem-solving – which are among the most essential requirements of modern employers.

The paper also addresses the challenges facing vocational education, including societal stereotypes, low levels of awareness, and

the insufficient promotion of vocational programs. Furthermore, it explores future development perspectives, including the integration of digital technologies and Artificial Intelligence (AI) into the educational process, which contributes to improving the quality of teaching, enabling personalized learning approaches, and better forecasting labor market demands.

Based on personal professional experience and the analysis of modern educational trends, the study demonstrates that vocational education is not only a means of acquiring a specific profession but also a powerful mechanism for social integration, economic development, increased competitiveness, and building a successful future.

ლაშა ჩაკვეტაძე

ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების – „საბაჟო საქმე“ და „ტვირთების ექსპედირება“ -ხელმძღვანელი

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება პროფესიულ განათლებაში: შესაძლებლობები და სისტემური ბარიერები

წინამდებარე ნაშრომის მიზანია პროფესიული პროგრამის „საბაჟო საქმე» ფარგლებში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (Work-Based Learning – WBL) მოდელის ეფექტიანობის შეფასება და არსებული სისტემური ბარიერების გამოვლენა. კვლევა ეფუძნება ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრსა და საქართველოს საბაჟო ადმინისტრაციას შორის სტრატეგიული თანამშრომლობის ემპირიულ ანალიზს (2022 წლის მემორანდუმის ბაზაზე). კვლევამ დაადასტურა, რომ ციფრული საბაჟო სისტემების ინტეგრაციამ, საბაჟო სპეციალისტების აქტიურმა ჩართულობამ და მრავალფეროვანმა სასწავლო პრაქტიკამ მნიშვნელოვნად გაზარდა სტუდენტთა პრაქტიკული კომპეტენცია. ამასთან, გამოიკვეთა სისტემური სამართლებრივი ბარიერი: „საჯარო სამსახურის შესახებ» კანონმდებლობა V დონის პროფესიულ კვალიფიკაციას სახელმწიფო ორგანოში დასაქმების სრულფასოვან საფუძვლად არ მიიჩნევს. ნაშრომი წარმოადგენს კონკრეტულ რეკომენდაციებს კომპეტენციებზე დაფუძნებული

დასაქმების პოლიტიკის დანერგვისა და საკანონმდებლო ჰარმონიზაციის მიმართულებით.

Lasha Chakvetadze

Master of Business Administration; Head of the Vocational Educational Programmes "Customs Affairs" and "Freight Forwarding" at the Vocational Education Centre of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Work-Based Learning in Vocational Education: Opportunities and Systemic Barriers

This paper evaluates the effectiveness of the Work-Based Learning (WBL) model implemented in the Level V vocational programme "Customs Study" at Tbilisi State University, developed in partnership with the Revenue Service of Georgia. The study is based on empirical analysis of the 2022 Memorandum of Understanding between TSU and the Georgian Customs Administration. Findings confirm that the integration of digital customs systems (eCustoms, NCTS), the active involvement of practising customs officers as mentors, and diverse field-based training across four types of customs infrastructure have significantly enhanced students' operational competencies.

At the same time, a major systemic legal barrier persists. Under current Georgian legislation, a Level V vocational diploma does not qualify its holder for employment in the public sector. Access to customs authorities is restricted exclusively to those vocational graduates who also hold a higher education degree – a mechanism limited by the programme's 30% quota. Drawing on EU and German models (e.g., Germany, Austria, the Netherlands), the paper advo-

cates for a transition to competency-based hiring in Georgia and for legislative harmonisation between the National Qualifications Framework and the Civil Service regulatory framework (Article 28 of the Law on Civil Service, Government Decree No. 218). The findings demonstrate that strategic partnerships between vocational education providers and public institutions significantly improve graduate employability and support workforce development in highly specialised sectors such as customs administration.

ავთანდილ ჩაჩანიძე

კოლეჯი „მესამე სამედიცინო“, საექთნო საქმის მეოხე კუჰსის სტუდენტი

გენდერული დისბალანსის დინამიკა საექთნო პროფესიულ განათლებაში: მამრობითი სქესის სტუდენტების პერსპექტივები და გამოწვევები

წინამდებარე სტატიაში განხილულია გენდერული დისბალანსის დინამიკა საექთნო პროფესიულ განათლებაში, მამრობითი სქესის სტუდენტების პერსპექტივები და მათი ინტეგრაციის ძირითადი გამოწვევები საქართველოში არსებული მწვავე საექთნო კრიზისის ფონზე. კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ სოციოკულტურული, ეკონომიკური და სტრუქტურული ბარიერების კომპლექსური ანალიზი, რომლებიც განაპირობებენ მამაკაცთა კრიტიკულად დაბალ ხვედრით წილს (5%-ზე ნაკლები) ადგილობრივ სამედიცინო პერსონალში. ნაშრომში გამოყენებულია თეორიული მასალის, გლობალური ტენდენციებისა და ლოკალური სტატისტიკური მონაცემების შეპირისპირებითი ანალიზი. კვლევის შედეგად იდენტიფიცირებულია ოთხი ფუნდამენტური ფაქტორი, რომელიც აფერხებს მამაკაცთა შესვლასა და შენარჩუნებას საექთნო სფეროში: 1) სოციოკულტურული სტიგმები და ზრუნვის ფენომენის ექსკლუზიური ფემინიზაცია, რაც მამაკაცებში „როლურ კონფლიქტს“ იწვევს; 2) პროფესიის დაბალი ფინანსური ანაზღაურება, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება მამაკაცის, როგორც „ოჯახის მთავარი მარჩენალის“ ტრადიციულ მოლოდინს; 3) ჯანდაცვის სისტემაში არსებული მკაცრი კლინიკური იერარქია (პრინციპით „ექიმი VS ექთანი“), რაც საექთნო

საქმის კნინობით აღქმას და სტატუსურ დისკომფორტს განაპირობებს; 4) აკადემიურ სივრცეში არსებული გენდერული ჰომოგენურობა და მამაკაცი მენტორების კრიტიკული დეფიციტი, რაც ზრდის სწავლის მიტოვების მაჩვენებელს. საერთაშორისო წარმატებული პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით, სტატიაში ჩამოყალიბებულია სტრატეგიული რეკომენდაციები ქართული კონტექსტისთვის. დასკვნის სახით ხაზგასმულია, რომ არსებული კადრების დეფიციტის დაძლევა მოითხოვს მრავალსექტორულ მიდგომას საექთნო საქმის იმიჯის ტრანსფორმაციას, მიზნობრივი სახელმწიფო სტიპენდიების შექმნას, კლინიკური ავტონომიის გაზრდასა და საგანმანათლებლო სივრცეში მამაკაცთა მხარდამჭერი მენტორობის ქსელების განვითარებას.

Avtandil Chachanidze

Second-year Nursing Student, Third Medical College

Dynamics of Gender Imbalance in Nursing Vocational Education: Perspectives and Challenges of Male Students

The present article examines the dynamics of gender imbalance in professional nursing education, the perspectives of male students, and the primary challenges to their integration amidst the acute nursing crisis in Georgia. The aim of this study is to conduct a comprehensive analysis of the sociocultural, economic, and structural barriers contributing to the critically low proportion of men (less than 5%) among local medical personnel. The paper utilizes a comparative analysis of theoretical literature, global trends, and local statistical data. The research identifies four fundamental fac-

tors hindering the entry and retention of men in the nursing field: 1) sociocultural stigmas and the exclusive feminization of caregiving, which induce “role conflict” in men; 2) low financial remuneration within the profession, which directly contradicts the traditional expectation of men as the “primary family breadwinner”; 3) the strict clinical hierarchy within the healthcare system (characterized by a “doctor vs. nurse” dynamic), which fosters a diminished perception of nursing and status-related discomfort; 4) gender homogeneity in academic environments and a critical shortage of male mentors, which exacerbates dropout rates. Drawing upon the analysis of successful international practices, the article formulates strategic recommendations tailored to the Georgian context. In conclusion, the study emphasizes that overcoming the current workforce shortage requires a multisectoral approach involving the transformation of nursing’s public image, the creation of targeted state scholarships, the enhancement of clinical autonomy, and the development of mentorship networks to support men within educational institutions.

ხათუნა ჩუგოშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის მასწავლებელი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის სახელობის ცენტრალური სამკითხველო დარბაზის გამგე

თსუ ბიბლიოთეკა, როგორც განათლების, ინოვაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მხარდამჭერი პლატფორმა

თანამედროვე ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის როლი მნიშვნელოვნად გარდაიქმნა. ტრადიციული წიგნსაცავის ფუნქციიდან იგი გადაიქცა მრავალფუნქციურ საგანმანათლებლო, კვლევით და ციფრულ საინფორმაციო ცენტრად, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების, მკვლევრებისა და აკადემიური საზოგადოების განვითარებას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან აკადემიურ სივრცეს, რომელიც აერთიანებს საგანმანათლებლო რესურსებს, თანამედროვე ტექნოლოგიებსა და საერთაშორისო გამოცდილებას. მისი საქმიანობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სწავლების ხარისხზე, კვლევით პროცესსა და უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციაზე.

ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში ბიბლიოთეკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად იქცა ელექტრონული რესურსების განვითარება, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებზე ხელმისაწვდომობა და მომხმარებელთა ციფრული უნარების გაძლიერება. თანამედროვე სტუდენტისთვის

მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ინფორმაციის მიღება, არამედ მისი მოძიების, შეფასებისა და ეფექტიანი გამოყენების უნარი.

თსუ-ის ბიბლიოთეკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მხარდაჭერაში. იგი ქმნის გარემოს დამოუკიდებელი სწავლისთვის, კვლევითი კომპეტენციების განვითარებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების ჩამოყალიბებისთვის. საინფორმაციო წიგნიერება, კრიტიკული აზროვნება და ციფრული კომპეტენციები წარმოადგენს იმ უნარებს, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე შრომის ბაზარზე წარმატებისთვის.

ბიბლიოთეკის საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა. საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემიური მობილობა და უცხოურ სამეცნიერო რესურსებზე წვდომა ხელს უწყობს უნივერსიტეტის ინტეგრაციას გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში.

ციფრული გარემოს განვითარებასთან ერთად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კიბერუსაფრთხოება, მონაცემთა დაცვა და აკადემიური ეთიკის საკითხები. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მონაწილეობს მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლებაში, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის უსაფრთხო და პასუხისმგებლიან გამოყენებას.

მომავლის უნივერსიტეტში ბიბლიოთეკა წარმოადგენს არა მხოლოდ ინფორმაციის მიღების ადგილს, არამედ ინოვაციების, თანამშრომლობისა და უწყვეტი განათლების ცენტრს. მისი განვითარება პირდაპირ უკავშირდება განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, კვლევითი შესაძლებლობების გაფართოებას და ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

Khatuna Chugoshvili

Teacher at the Vocational Education Centre of Ivane Javakhishvili Tbilisi State University; Head of the Shota Rustaveli Central Reading Hall of Tbilisi State University

TSU Library as a Platform Supporting Education, Innovation and International Cooperation

In the modern knowledge-based society, the role of the university library has undergone a significant transformation. Shifting from its traditional function as a book repository, it has evolved into a multifunctional educational, research and digital information center that fosters the development of students, researchers and the academic community.

The Library of Ivane Javakhishvili Tbilisi State University represents one of the most vital academic spaces integrating educational resources, modern technologies and international experience. Its activities have a significant impact on the quality of teaching, the research process and the internationalization of the university.

In the context of digital transformation, one of the main directions of the library has become the development of electronic resources, access to international scientific databases and enhancement of users' the digital skills. For a modern student, it is essential not only to receive information, but also to possess ability to search, evaluate and effectively utilize it.

The TSU Library plays a significant role in supporting student-centered learning. It creates an environment for independent learning, the development of research competencies and the formation of academic integrity. Information literacy, critical thinking

and digital competencies are skills that are essential for success in the modern labor market.

An important direction of the library's activity is the promotion of international cooperation. International educational programs, academic mobility and access to foreign scientific resources foster the integration of the university into the global educational space.

Alongside the development of the digital environment, cybersecurity, data protection and issues of academic ethics acquire particular importance. The university library participates in raising user awareness, which ensures the safe and responsible use of information.

In the university of the future, the library represents not only a place to receive information, but also a center for innovation, collaboration, and lifelong learning. Its development is directly related to improving the quality of education, expanding research capabilities, and building a knowledge-based society.

პაატა ცაგარეიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი, პროფესიული მასწავლებელი

როგორ შეიცვლება პროფესიული მასწავლებლის როლი ხელოვნური ინტელექტის (AI) განვითარებასთან ერთად

ხელოვნური ინტელექტის სწრაფი განვითარება პროფესიულ განათლებას ფუნდამენტური გამოწვევის წინაშე აყენებს – გადააზრებულ იქნას მასწავლებლის ფუნქცია ინფორმაციის მიმწოდებლიდან ფასილიტატორის, მენტორისა და ქოუჩის როლში. ნაშრომი განიხილავს, თუ როგორ შეიძლება AI-ის ინსტრუმენტების გამოყენებამ გადაჭრას პროფესიული სწავლების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა – სხვადასხვა ასაკობრივი თუ გამოცდილებრივი საჭიროების მქონე სტუდენტების ეფექტური, პერსონალიზებული სწავლება ერთიან სივრცეში. ივანე ჯავახიშვილისა და ისააკ ნიუტონის კონცეფციების გაერთიანებით ჩამოყალიბებულია პროფესიული მასწავლებლის ახალი მიზანი: დამოუკიდებელი მოაზროვნის აღზრდა, რომელიც ავითარებს პროფესიაში არსებულ ცოდნას. ნაშრომი ასევე წარმოაჩენს, რომ ტექნოლოგიური პროგრესი მასწავლებელს ათავისუფლებს რუტინული ამოცანებისაგან და ზრდის სივრცეს ადამიანური მენტორობისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის. კვლევაში წარმოდგენილი პრაქტიკული მაგალითები და ცოდნის პირამიდის მოდელი ადასტურებს, რომ AI-ის სწორი ინტეგრაცია სასწავლო პროცესში ქმნის პირობებს, რათა სტუდენტმა გამოიმუშავოს დამოუკიდებელი

კვლევის უნარი, კრიტიკული აზროვნება და სწრაფად ცვალებად პროფესიულ გარემოში ადაპტაციის კომპეტენცია.

Paata Tsagareishvili

Vocational Teacher, Vocational Education Centre of Tbilisi State University

How the Role of a Vocational Teacher Will Change with the Development of Artificial Intelligence (AI)

The rapid development of artificial intelligence presents vocational education with a fundamental challenge – to redefine the teacher's role from a transmitter of information to that of a facilitator, mentor and coach. This paper examines how the use of AI tools can resolve one of the central challenges in professional training: delivering effective, personalized instruction to students of varying ages, backgrounds, and prior experience within a shared learning environment. Drawing on the ideas of Ivane Javakhishvili and Isaac Newton, the study formulates a new goal for the vocational teacher: to cultivate independent thinkers who advance the knowledge within their profession and improve the products or services it serves. The paper further demonstrates that technological progress frees teachers from routine tasks, expanding the space available for human mentoring and the development of critical thinking. Practical examples and the knowledge pyramid model presented in the study confirm that the thoughtful integration of AI into the learning process creates the conditions for students to develop independent research skills, critical reasoning, and the competence to adapt within a rapidly evolving professional environment.

ეკა წილოსანი

პროფესიული მასწავლებელი, Front-End დეველოპმენტის
პროფესიული სასწავლო პროგრამა, სსიპ კოლეჯი «ახალი ტალღა»

ჰიბრიდული სწავლების ოპტიმიზაცია პროფესიულ განათლებაში: ციფრული ეკოსისტემის გამოყენებით მიღწეული შედეგები Front-End დეველოპმენტის სტუდენტების მაგალითზე

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ჰიბრიდული სწავლების ოპტიმიზაციის პრაქტიკული მაგალითი, რომელიც წარმატებით განხორციელდა სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ Front-End დეველოპმენტის პროფესიული პროგრამის სტუდენტებისთვის. ტრადიციული სწავლების ჰიბრიდულ, მაქსიმალურად მოსახერხებელ ფორმატში გადასაყვანად, ამასთანავე გარისონისა და კანუკას კვლევების გათვალისწინებით, სპეციალურად შეიქმნა უნიკალური ავტორული სასწავლო პლატფორმა. აღნიშნული ციფრული ჰაბი სტუდენტებს სთავაზობს როგორც მულტიმედიურ რესურსებს, ისე მრავალფეროვან დამატებით მასალებს, მათ შორის სპეციალური LLM მოდელით შექმნილ ვიდეოგაკვეთილებს, სასარგებლო ვებ-ბმულებსა და დამხმარე ფაილებს. ეს ინტეგრირებული სისტემა უზრუნველყოფს ლექტორთან მუდმივ, სწრაფ კომუნიკაციას, სასწავლო მასალებზე შეუზღუდავ წვდომას და სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე დამატებით ტექნიკურ ინსტრუქციებს. კურსის ჰიბრიდული სწავლების მეთოდოლოგია ეფუძნება 70% პრაქტიკისა და 30% თეორიის (70/30) ეფექტურ სინთეზს. პრაქტიკამ ცხადყო, რომ შექმნილმა

ეკოსისტემამ მნიშვნელოვნად შეამცირა ტექნიკური თუ კომუნიკაციური ბარიერები. უწყვეტი უკუკავშირის, აქტიური მენტორობისა და ინოვაციური მასალების დანერგვის შედეგად, მკვეთრად გაუმჯობესდა სტუდენტების პრაქტიკული ცოდნის ხარისხი, 25%ით გაიზარდა აკადემიური მოსწრება და სრულად უზრუნველყოფილია მათი მაქსიმალური, პროდუქტიული ჩართულობა სასწავლო პროცესში.

Eka Tsilosani

Vocational Teacher, Front-End Development Vocational Education Programme, LEPL College "Akhali Talgha"

Hybrid Learning Optimization in Vocational Education: Outcomes Achieved Through a Digital Ecosystem Exemplified by Front-End Development Students

This study examines the optimization of hybrid vocational education for Front-End Development students by addressing challenges related to student isolation, technical barriers and fragmented learning resources. To overcome these issues, an integrated digital learning ecosystem was developed using React, Vite and Tailwind CSS. The platform centralizes learning materials, LLM-generated instructional videos, interactive setup guides, EmailJS-based communication and structured code review within a 70/30 practice-to-theory framework.

The platform's impact was evaluated through implementation in a vocational education setting. Results indicate a 25% increase in academic performance, a 27% rise in portfolio completion rates and no student withdrawals during the study period. The findings sug-

gest that centralized, domain-specific learning environments can improve learning outcomes, student engagement and retention. The study recommends adopting integrated digital ecosystems as an effective approach for embedding industry-aligned practices into hybrid vocational curricula.

სალომე ჭაბაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის კუსტოდამთავრებული; ამავე უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორის ასისტენტი, ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის დოქტორანტი

პროფესიული განათლება და შრომის ბაზრის მოთხოვნები საქართველოში: სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები

თანამედროვე ეკონომიკურ გარემოში პროფესიული განათლება კონკურენტუნარიანი და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის ფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად განიხილება. გლობალური ეკონომიკური ცვლილებები, ტექნოლოგიური პროგრესი და ციფრული ტრანსფორმაცია ზრდის მოთხოვნას გამოყენებით და სპეციალიზებულ უნარებზე, რაც პროფესიულ განათლებას ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ მექანიზმად აყალიბებს.

წინამდებარე ნაშრომი აანალიზებს პროფესიული განათლების გავლენას დასაქმებაზე, ხელფასების დინამიკასა და შრომის ბაზრის სტრუქტურაზე საქართველოში. კვლევა ეფუძნება განათლების ეკონომიკისა და ადამიანური კაპიტალის თეორიულ და აკადემიურ ლიტერატურას, დარგობრივ სამეცნიერო ნაშრომებს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, მსოფლიო ბანკის, გაეროს განვითარების პროგრამის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებსა და ანგარიშებს.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ქვეყანაში შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და სამუშაო ძალის კომპეტენციებს შორის არსებული შეუსაბამობა („skills mismatch“) მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, განსაკუთრებით, კვალიფიციური სამუშაო ძალის ხელმისაწვდომობისა და ეფექტიანი დასაქმების თვალსაზრისით. ნაშრომი ხაზს უსვამს პროფესიული განათლების როლს როგორც ეკონომიკური ზრდის, ასევე ფინანსური სტაბილურობისა და შრომის ბაზრის ეფექტიანობის უზრუნველყოფაში.

Salome Chabashvili

Graduate of the Vocational Education Centre of Ivane Javakhishvili Tbilisi State University; Professor's Assistant at the Faculty of Economics and Business of the same university; Doctoral Candidate in the Department of Finance and Banking

Vocational Education and Labour Market Demands in Georgia: Socio-Economic Aspects

In the modern economic environment, vocational education is considered an important instrument for developing a competitive workforce oriented toward labor market demands. Global economic changes, technological progress, and digital transformation have increased the demand for applied and specialized skills, establishing vocational education as a strategic mechanism for economic development.

This paper analyzes the impact of vocational education on employment, wage dynamics, and the labor market structure in Georgia. The study is based on theoretical and academic literature on the economics of education and human capital, sector-specific

scientific publications, as well as data and reports from the National Statistics Office of Georgia, the World Bank, the United Nations Development Programme (UNDP), the International Labour Organization (ILO), and the Organisation for Economic Co-operation and Development (OECD).

The findings indicate that the existing mismatch between labor market demands and workforce competencies ("skills mismatch") represents a significant challenge, particularly in terms of the availability of a skilled workforce and effective employment. The paper highlights the role of vocational education in ensuring economic growth, financial stability, and labor market efficiency.

ლევან ჭითანავა

ინტეხბიზნესის აკადემიის საექთნო საქმის სტუდენტი

მომავლის ექთანი: პროფესიული განათლება და საერთაშორისო გამოცდილება

თანამედროვე ჯანდაცვის სისტემებში ექთნის პროფესიული როლი მნიშვნელოვნად ტრანსფორმირდა. თუ წარსულში ექთანი ძირითადად ექიმის დანიშნულებების შემსრულებლად განიხილებოდა, დღეს განვითარებულ ჯანდაცვის სისტემებში იგი კლინიკური გუნდის სრულფასოვანი წევრი, გადაწყვეტილებების მიღების პროცესის მონაწილე და პაციენტის უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი გარანტორია. ნაშრომის მიზანია მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი სამედიცინო ორგანიზაციის – Mayo Clinic-ის გამოცდილების ანალიზი და მისი შედარება საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში არსებულ რეალობასთან. კვლევა ეფუძნება Mayo Clinic-ის წარმომადგენელთან პროფესიულ კომუნიკაციას, საერთაშორისო ლიტერატურისა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზს. ნაშრომში განხილულია პროფესიული ავტონომიის, ინფექციის პრევენციის, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის, ციფრული ტრანსფორმაციისა და პროფესიული განათლების თანამედროვე ტენდენციების საკითხები. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ პროფესიული ავტონომიის გაძლიერება, უწყვეტი განათლება და საერთაშორისო თანამშრომლობა მნიშვნელოვანი ფაქტორებია საექთნო პროფესიისა და პროფესიული განათლების განვითარებისათვის საქართველოში.

Levan Chitanava

Student of the Nursing Programme at InterBusiness Academy

The Nurse of the Future: Vocational Education and International Experience

In modern healthcare systems, the professional role of nurses has undergone significant transformation. Whereas in the past a nurse was primarily viewed as an executor of physicians' orders, in advanced healthcare systems today a nurse is a full member of the clinical team, a participant in decision-making processes, and one of the key guarantors of patient safety. The aim of the paper is to analyze the experience of one of the world's leading medical organizations – Mayo Clinic – and compare it with the realities of the healthcare system in Georgia. The study is based on professional communication with a representative of Mayo Clinic, as well as analysis of international literature and statistical data. The paper discusses issues of professional autonomy, infection prevention, evidence-based practice, digital transformation and contemporary trends in professional education. The research findings indicate that strengthening professional autonomy, continuous education, and international cooperation are important factors for the development of the nursing profession and vocational education in Georgia.

მზეონა ჭილაშვილი

სამართლის მაგისტრი, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი

პროფესიული განათლება და შრომის ბაზარი – თანამედროვე ტენდენციები

ნაშრომში განხილულია პროფესიული განათლებისა და თანამედროვე შრომის ბაზრის ურთიერთკავშირი, არსებული ტენდენციები და გამოწვევები. ყურადღება გამახვილებულია ტექნოლოგიური პროგრესის, ციფრული ტრანსფორმაციისა და გლობალიზაციის გავლენაზე დასაქმების სფეროში. ნაშრომი მიმოიხილავს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს, პროფესიული განათლების როლს კვალიფიციური კადრების მომზადებაში და პრაქტიკული უნარების მნიშვნელობას კონკურენტუნარიან გარემოში.

განხილულია დისტანციური მუშაობის, სიცოცხლის განმავლობაში სწავლების და დუალური განათლების სისტემის აქტუალობა. ნაშრომში წარმოდგენილია პროფესიული განათლების ძირითადი გამოწვევები, მათ შორის შრომის ბაზართან შეუსაბამობა, ტექნოლოგიური რესურსების ნაკლებობა და საზოგადოების მხრიდან არსებული სტერეოტიპები.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი საქართველოს რეალობას, პროფესიული განათლების პერსპექტივებსა და ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის მნიშვნელობას. კვლევა აჩენებს, რომ პროფესიული განათლების განვითარება წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის, დასაქმების ზრდის და სოციალური კეთილდღეობის მნიშვნელოვან წინაპირობას.

Mzeona Chilashvili

Master of Law; Head of the Learning Process Management Service at LLC "Panaskerteli" Community College

Vocational Education and the Labour Market – Contemporary Trends

This paper discusses the relationship between vocational education and the modern labor market, as well as current trends and challenges. Particular attention is paid to the impact of technological progress, digital transformation and globalization on employment. The paper reviews the demands of the contemporary labor market, the role of vocational education in preparing qualified personnel, and the importance of practical skills in a competitive environment.

The paper examines the relevance of remote work, lifelong learning, and the dual education system. It also presents the key challenges facing vocational education, including the mismatch between vocational education and labor market requirements, insufficient technlogical resources and prevailing societal stereotypes.

Special attention is given to the Georgian context, the prospects for vocational education, and the importance of cooperation with the business sector. The research demonstrates that the development of vocational education is a significant prerequisite for the country's economic growth, increased employment opportunities and overall social well-being.